

ტერმინალის ოპერატორების პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. დაფარვა – ნავსადგური და ტერმინალის ოპერატორები:

1. წინამდებარე პირობები და დაზღვევის პოლისი, შესაბამისი დათქმების და გამონაკლისების გათვალისწინებით ფარავს დამზღვევის იურიდიულ და/ან საკონტრაქტო პასუხისმგებლობას და/ან “დაზღვეული საქმიანობის” ღირებულებას:

1.1. უბედური შემთხვევებისაგან, მგზავრების მომსახურებასთან, ტვირთის, გემის, ვაგონის, და სხვა სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკური აღჭურვილობის, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო ოპერატორების მიერ, დამუშავებასთან დაკავშირებული სატვირთო-სამგზავრო ოპერაციების განხორციელების დროს შეცდომებსა, ასევე მიწის გათხრითი, სამაშველო და წყალქვეშა სამუშაოებს, ნარჩენების გატანის, შიპშანდლერული მომსახურების, ბუნკერის მიწოდების, გემების და მცურავი საშუალებების ბუქსირება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება

1.2. კონტეინერების, მოწყობილობების, გემების ან სხვა ქონების შენახვისას, მოხმარებისას ან მართვისას დამდგარი ზიანი და აღნიშნულიდან გამოწვეული შედეგობრივი ზიანი;

1.3. ტვირთის დაზიანების ან დაკარგვის, ან ამის შედეგად გამოწვეული ზიანის შემთხვევაში;

1.4. ხანძრის, მის ჩაქრობაზე ქმედების და ასევე აფეთქების, მათ შორის საშიში ნივთიერებების აფეთქების;

1.5. პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში ნებისმიერი ნარჩენების ან ნაგავის გატანა/ტერიტორიის დასუფთავების გამო

2. სპეციალური პირობები და გამონაკლისები შეეხება ნავსადგურის და ტერმინალის ოპერატორების დაზღვევის და ნებისმიერი გაფართოების ყველა სექციას:

2.1. შეცდომებზე და გამოტოვებებზე პასუხისმგებლობის გამონაკლისი
თუ წინამდებარე დაზღვევის გაფართოების სახით არ არის დაზღვეული პასუხისმგებლობა შეცდომებზე და გამოტოვებებზე, მაშინ დამზღვევის პასუხისმგებლობა დაშვებულ შეცდომებზე და გამოტოვებებზე ჩაითვლება გამონაკლისად.

3. საქმიანობის პირობები

წინამდებარე დაზღვევის წინაპირობას წარმოადგენს დამზღვევის ძირითადი საქმიანობის პირობები, რომელიც უნდა წარედგინოს მზღვეველს გასაცნობად და ამის დასტური უნდა აღინიშნოს დაზღვევის პოლისში ან თანხმლელ დოკუმენტებში.

4. ცვლილებები საქმიანობის პირობებში

თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ დამზღვევი შეცვლის ან დამატებებს შეიტანს საქმიანობის პირობებში, რაც თავის მხრივ იმოქმედებს მზღვეველის მიერ დაზღვეულ რისკზე, რომელიც არ არსებობდა დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტამდე, მაშინ მზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტამდე არსებული საქმიანობის პირობებით.

5. პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ შეტყობინება

თუ კანონმდებლობით, ნორმატიული აქტებით, წესდებით ან დადგენილებებით დამზღვევის იურიდიული პასუხისმგებლობა არის შეზღუდული ან აკრძალული, ნავსადგურის ან/და ტერმინალის ყველა მომხმარებელი უნდა გაცნობილ იქნას ასეთ ფაქტს დამზღვევის მიერ წერილობითი შეტყობინების სახით.

6. დაზღვეული საქმიანობა

წინამდებარე დაზღვევით არ იფარება დამზღვევის ისეთი საქმიანობა, რომელიც არ არის დეკლარირებული მზღვეველთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საქმიანობა ატარებს

დამხმარე ხასიათს დეკლარირებული საქმიანობისათვის (თუ სხვაგვარად არ არის გამორიცხული წინამდებარე დაზღვევის პირობებით).

7. გამონაკლისი პასუხისმგებლობა

წინამდებარე დაზღვევა არ ვრცელდება:

- 7.1. ნებისმიერი ოფისის, შენობის ან ნაგებობის მფლობელობით, ლიზინგით, იჯარით ან ლიცენზიით გამოწვეულ პასუხისმგებლობაზე;
- 7.2. შესრულების ვალდებულებით ან გარანტიით გამოწვეულ პასუხისმგებლობაზე;
- 7.3. შემდეგი სახის ტვირთებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობაზე:
 - ა) ძვირფასი ლითონები და მათგან დამზადებული ნივთები;
 - ბ) ბანკნოტები, მონეტები, ჩეკები და საკრედიტო ბარათები;
 - გ) ობლიგაციები, შეთანხმების დოკუმენტები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები;
 - დ) ძვირფასი ნაკეთობები, ხელოვნების ნიმუშები, ანტიკვარიატი, ძვირფასი ქვები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენენ პირადი მოხმარების ნივთებს;

8. საწყობის მართვა

იმ შემთხვევაში, თუ საწყობის მართვის ოპერაციები დაზღვეულია სპეციალური გაფართოების სახით, მხოლოდ მაშინ აღნიშნული საქმიანობა ჩაითვლება დაზღვეულად და მხოლოდ იმ პირობით, რომ ნორმალურად ტრანზიტის რეჟიმში მყოფი ტვირთი არ განიხილება საწყობის მართვის რისკის ქვეშ.

9. ტერმინთა განმარტება

დამატებითი დაზღვეული - არის მხარე, რომელიც აღნიშნულია დაზღვევის დოკუმენტებში და დაზღვეულია დამზღვევთან ერთად იგივე პირობებით, უფლებებით და ვალდებულებებით. დამატებითი დაზღვეული არ არის ვალდებული განახორციელოს ცალკე დაზღვევა იგივე საქმიანობაზე. დამზღვევის მიერ პოლისის მიხედვით ზიანის შესახებ განცხადების შემთხვევაში მზღვეველი ასევე უფლებამოსილია დაიცვას ეს პირობა ან წარუდგინოს დამატებითი მოთხოვნები დამზღვევს.

ჯამური (აგრეგატული) ლიმიტი – არის მაქსიმალური ანაზღაურებადი თანხა, რომელსაც მზღვეველი გადაუხდის დამზღვევს დაზღვევის პოლისის მოქმედების პერიოდში შესაბამისი ფრანშიზის გამოკლებით.

თანადაზღვეული – არის მხარე, რომელიც აღნიშნულია დაზღვევის დოკუმენტებში და დაზღვეულია დამზღვევთან ერთად იგივე პირობებით და უფლებებით და ვალდებულებებით. თანადაზღვეული არ არის ვალდებული განახორციელოს ცალკე დაზღვევა იგივე საქმიანობაზე. ზიანის დადგომის შემთხვევაში მზღვეველი არ წარადგენს მოთხოვნებს თანადაზღვეულის მიმართ.

ხარჯები – არის საკომისიოები, გადასახდელები, და დანახარჯები დაკავშირებული ინსპექტირებასთან, ზარალის რეგულირებასთან, იურიდიულ მომსახურებასთან, ექსპერტიზასთან, სხვა პროფესიულ მომსახურებასთან და ა.შ.

შეცდომა და გამოტოვება – ნიშნავს ქმედებას/მოქცევას ან უმოქმედობას თუ ეს მოხდება განზრახვის გარეშე.

გეოგრაფიული ლიმიტი – არის გეოგრაფიული ფარგლები, რომელიც განსაზღვრავს ასევე დაზღვევის მოქმედების არეალს (ასევე დაზღვევის ტერიტორია ან დაზღვევის არეალი).

ინციდენტი ან შემთხვევა – ნებისმიერი ინციდენტი ან შემთხვევა ან ინციდენტების ან შემთხვევათა ერთობლიობა გამოწვეული ერთი მოვლენით.

გადახდის უუნარობა – ნიშნავს ვალის დაფარვის შეუძლებლობას, როდესაც ამ ვალის დაფარვის დროა.

დამზღვევი (დაზღვეული) – არის მხარე, რომელიც აღინიშნება დაზღვევის პოლისში. დამზღვევი არ შეიცავს ასოცირებულ წევრს, შვილობილ ან სხვა დაკავშირებულ კომპანიას, კორპორაციას, ასოციაციას, პიროვნებას, პარტნიორობას ან აგენტს (თუ სხვაგვარად სპეციალურად არ არის აღნიშნული დაზღვევის პოლისში ან დაზღვევის სხვა დოკუმენტებში).

მზღვეველი – „სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“

ჩაკეტილი – ნიშნავს დაცული სპეციალური საკეტით ან კლიტით ან სხვა მსგავსი ჩასაკეტი მექანიზმით.

ზარალი (ზიანი) – შეიცავს ნაწილობრივ, კონსტრუქციულ ან სრულ დაზიანებას ან განადგურებას. კონსტრუქციული სრული განადგურების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ინსპექტირების და/ან შეკეთების და/ან აღდგენის ღირებულება აღემატება დაზიანებული ნივთის ღირებულებას შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით.

მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულებით, დაზღვევის პირობებით ან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

მოსარგებლეზე ანაზღაურების გაცემისთანავე მზღვეველი თავისუფლდება აღნიშნული ზარალით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

პერიოდი – დაზღვევის პოლისში მითითებული პერიოდი. პერიოდი ძალაში შედის და მთავრდება მითითებული თარიღების 00 საათიდან 24:00 საათზე.

პოლისი – წარმოადგენს წინამდებარე დაზღვევის პირობების, დაზღვევის პოლისის, დაზღვევის განაცხადის და სხვა სადაზღვევო დოკუმენტაციის ერთობლიობას და განიხილება როგორც ერთი ხელშეკრულება.

პოლისის დაფარვის ლიმიტი (პასუხისმგებლობის ლიმიტი) – წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, ნებისმიერი ანაზღაურების და ხარჯების ჩათვლით, რომელსაც მზღვეველი გადაუხდის დაზღვეულს (ან თანადაზღვეულს) ზიანის დადგომის შემთხვევაში, მაგრამ შესაბამისი ფრანშიზების გამოკლებით.

პოლისის დამატება (სპეციალური შეთანხმება) – გაიცემა მზღვეველის მიერ პოლისის პირობებში ცვლილებების დადასტურების მიზნით და განიხილება როგორც წინამდებარე პირობების, დაზღვევის პოლისის და სხვა სადაზღვევო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი.

ქვე-ლიმიტი - მაქსიმალური თანხა, რომელსაც მზღვეველი აანაზღაურებს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის (თუ ქვე-ლიმიტი მითითებულია დაზღვევის პოლისში ან განსაზღვრულია დაზღვევის სხვა დოკუმენტაციით).

დროებითი შენახვა – ნიშნავს:

შენახვა დაცულ და ჩაკეტილ, კონკრეტული ტვირთის შენახვისათვის შესაბამის ნაგებობაში, საწყობში ან შენობაში;

შენახვა გარდა ჩვეულებრივი ტრანზიტის რეჟიმისა;

შენახვა არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში.

სატრანსპორტო მოწყობილობები – მისაბმელი ან სხვა მსგავსი საშუალება, რომელიც გამოიყენება ტვირთის ან კონტეინერების გადაზიდვისათვის.

პოლისის ძირითადი პირობები და გამონაკლისები

1. ანაზღაურება

მზღვეველი აუნაზღაურებს ზარალს მხოლოდ დაზღვეულს (დამზღვევეს), თანადაზღვეულს ან მოსარგებლეს რომელიც მითითებულია დაზღვევის პოლისში. დაზღვევის ინტერესის გადაცემა არ არის დაშვებული.

2. სადაზღვევო შემთხვევა

მზღვეველი აანაზღაურებს მხოლოდ პოლისის (დაზღვევის) მოქმედების პერიოდის განმავლობაში მომხდარი ინციდენტით ან შემთხვევით გამოწვეულ ზარალს.

შეთანხმებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში, მზღვეველი აუნაზღაურებს დაზღვეულს ყველა გონიერ და აუცილებელ სასამართლო ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელიც დაზღვეულმა გაიღო მიყენებული ზარალის თავიდან ასაცილებლად ან მის შესამცირებლად, შეფერხებას გემის დამუშავებაში, გამოძიებას, დაზღვეულის თანხმობით, სასამართლო დაცვის დროს მესამე პირების მოთხოვნილებების დარეგულირებას,

3. ინფორმაციის გაზიარება / ცრუ ან არასრულყოფილი ინფორმაცია

3.1. დაზღვეულმა, მისმა თანამშრომლებმა, აგენტებმა ან ბროკერმა უნდა გაუზიარონ მზღვეველს ყველანაირი მნიშვნელოვანი ინფორმაცია პოლისის ძალაში შესვლამდე.

3.2. დაზღვეულმა, მისმა თანამშრომლებმა, აგენტებმა ან ბროკერმა არ უნდა დამალონ ან შეცვალონ მნიშვნელოვანი ფაქტები (ინფორმაცია) დაზღვევის პოლისის ძალაში შესვლამდე.

3.3. მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის, შეცვლის, დამახინჯების ან ცრუ (არასრულყოფილი) ინფორმაციის დამზღვევის ან მისი წარმომადგენლების მიერ მზღვეველისათვის მიწოდების შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას გააუქმოს დაზღვევის პოლისი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

4. ინფორმაციის შემდგომში გაზიარების ვალდებულება

დაზღვეული, მისი თანამშრომლები, აგენტები ან ბროკერი ვალდებული არიან დაზღვევის პერიოდის განმავლობაში გაუზიარონ მზღვეველს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან გარემოება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ზრდის სადაზღვევო რისკებს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას გააუქმოს დაზღვევის პოლისი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

5. პრემია

დაზღვევის პრემია ექვემდებარება გადახდას დაზღვევის პოლისში მითითებული ვადების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს დაზღვევის პოლისი დამზღვევისათვის, მისი ბროკერისათვის ან აგენტისათვის 14 დღით ადრე წინასწარი წერილობითი (ელექტრონული ფოსტის) შეტყობინების გაგზავნის გზით.

იმ შემთხვევაში თუ პოლისით დაზუსტებული ორიგინალური პრემია დაფიქსირებულია ეროვნულ ვალუტაში და არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების დღისათვის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ. დოლართან გაცვლის კურსთან, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან/ევროსთან მიმართებაში, ჯამში 5%-ით ან მეტით გაუფასურების შემთხვევაში, დამზღვევე(ებ)ისთვის წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით გაზარდოს სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა გაუფასურების პროცენტის შესაბამისად/ ოდენობით

6. ბროკერები

როდესაც დამზღვევი ახორციელებს დაზღვევას სადაზღვევო ბროკერის ან აგენტის მეშვეობით, ბროკერი ან აგენტი წარმოადგენს დამზღვევის მხარეს. პრემიის გადახდა აგენტისათვის ან ბროკერისათვის არ ნიშნავს მზღვევისათვის პრემიის გადახდას.

7. ზიანის შესახებ შეტყობინება

დამზღვევისათვის, ასევე მისი ბროკერის და აგენტისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაუყოვნებლივ წერილობითი შეტყობინების მიწოდება მზღვევისათვის (შემდგომში შესაბამისი საბუთების ორიგინალების წარდგენით):

7.1. ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, რომელიც შესაძლოა გახდეს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი;

7.2. ნებისმიერი შეტყობინების (წერილობითი თუ ზეპირი) არსებობის შესახებ, სადაც დაზღვეული განიხილება როგორც ზიანის დადგომაზე პასუხისმგებელი მხარე;

7.3. ნებისმიერი საჩივარის ან სხვა იურიდიული პროცესის, საბუთის ან იურისტის შუამდგომლობის არსებობის შესახებ, სადაც დაზღვეული განიხილება როგორც ზიანზე შესაძლო პასუხისმგებელი მხარე;

7.4. ნებისმიერი ინციდენტის, გარემოების ან შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელმაც შესაძლოა შემდგომში გამოიწვიოს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომა (ასევე პუნქტ 7.1.; 7.2 და 7.3. –ის გათვალისწინებით).

7.5. დამზღვევი/დაზღვეული მოვალეა ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება მიაწოდოს მზღვევს ზიანის/სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, გაუგზავნოს მზღვევს შემთხვევის შესახებ შეტყობინება, სატელეფონო ცხელ ხაზზე (+995 32 2-);

7.6. მზღვევლთან სატელეფონო ან ელექტრონული წერილის სახით შეტყობინების მიწოდებიდან არაუგვიანეს მომდევნო 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში დამზღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია ოფიციალურად წერილობით მიმართოს მზღვევს ან შეავსოს შესაბამისი განაცხადი ზარალის დადგომის შესახებ.

დამზღვევი ვალდებულია მაქსიმალურად დეტალურად მიუთითოს დამზღვევისათვის ცნობილი ყველა გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ზიანის/შემთხვევის დადგომასთან.

7.7. თუ დამზღვევი არ შეატყობინებს მზღვევს შემთხვევის დადგომის შესახებ და არ მიმართავს მზღვევს 7.5. პუნქტში მითითებულ წესით, ზემოთხსენებულ ვადებში, მზღვევი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

7.8. დამზღვევა უნდა წარუდგინოს მზღვევს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საჭირო დოკუმენტაცია დასაქმებულის საჩივართან (პრეტენზიასთან) დაკავშირებით და ასევე მზღვევის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები.

7.9. მზღვევლმა უნდა გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევზე, დაზღვეულზე, დაზარალებულ პირზე ან მის კანონიერ მემკვიდრეზე ან უარი განაცხადოს ანაზღაურების გაცემაზე ყველა დოკუმენტის მიღებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ ვითარება მოითხოვს, რომ ზიანის ანაზღაურება დაზარალებულ პირზე მოახდინოს უშუალოდ დამზღვევმა და ამის შესახებ არსებობს წერილობითი მოთხოვნა, მაშინ მზღვევი წინამდებარე პირობების შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს უშუალოდ დამზღვევზე.

დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვევს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საჭირო დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით, რასაც გამოიყენებს მზღვევი რეგრესის წესით მოთხოვნის დაკმაყოფილების მისაღწევად.

8. ზარალის (დარეგულირების) პროცედურა

წინამდებარე პუნქტი 7-ის შესაბამისად ზიანის შესახებ შეტყობინების მიღების საფუძველზე ზარალის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს:

8.1. დამზღვევა უნდა მიიღოს ყველა მიზანშეწონილი ზომა რათა თავიდან აიცილოს, შეარბილოს ან შეამციროს პასუხისმგებლობა სხვა მხარისათვის დროული შეტყობინების გზით, დროის ფაქტორის და იურიდიული პროცედურების გათვალისწინების გზით და ა.შ.

8.2. დაზღვეულმა არ უნდა აღიაროს (პირდაპირ ან ირიბად) პასუხისმგებლობა ან შეთანხმდეს კომპრომისზე ან დაარეგულიროს საჩივარი მზღვევლთან შეთანხმების გარეშე;

8.3. დამზღვევმა დაუყოვნებლივ, მზღვეველის მოთხოვნისთანავე უნდა მიიღოს ზომები და დართოს ნება, რათა იქნეს ზომები მიღებული მზღვეველის მოთხოვნის თანახმად ზიანის გარემოებათა მოკვლევისათვის, დაცვისათვის ან იურიდიული პროცესის წარმართვისათვის და მისცეს მზღვეველს უფლებამოსილება და ხელი შეუწყოს მას და მის უფლებამოსილ წარმომადგენლებს როგორც ზიანის დარეგულირებისა და შესწავლის პროცესში, ზიანზე პასუხისმგებელი მხარის წინააღმდეგ რეგრესის უფლების განხორციელებაში.

9. მოკვლევის, დაცვის და ზიანის შემცირების ხარჯები

9.1. ქვემოთ მოცემულ პუნქტ 9.3. – ის შესაბამისად, მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს მოკვლევის, დაცვის და ზიანის შემცირების ხარჯებს თუ ეს ხარჯები აღემატება ფრანშიზის ოდენობას და თუ ასეთი ხარჯების გაღებაზე არსებობს მზღვეველის წერილობითი თანხმობა, და მხოლოდ ამ შემთხვევაში მზღვეველი აანაზღაურებს ასეთ ხარჯებს ფრანშიზის გამოყენების გარეშე.

9.2. ქვემოთ მოცემულ პუნქტ 9.3. – ის შესაბამისად და მზღვეველის წერილობითი თანხმობის არსებობისას დამზღვევს აუნაზღაურდება მესამე მხარეთა მიერ დამზღვევის წინაშე არსებული ვალის ჩათვლასთან დაკავშირებული მიზანშეწონილი ხარჯები, მაგრამ იმ პირობით, რომ ასეთი ჩათვლა მოხდა ზიანის დადგომის შედეგად დაზარალებული პირების ვალებზე და მათ სასარგებლოდ.

9.3. მზღვეველი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ხარჯები, რომლებიც აღემატება დაზღვევის პოლისში მითითებულ პასუხისმგებლობის ლიმიტებს/ქვე-ლიმიტებს ან ხარჯების ის ნაწილი, რომელიც სხვა ასანაზღაურებელ თანხასთან ერთად აღემატება დაზღვევის პოლისში მითითებულ ლიმიტებს/ქვე-ლიმიტებს.

9.4. მზღვეველი არ არის ვალდებული დაიცვას ისეთი ზიანი, რომელიც არ აღემატება ფრანშიზის ოდენობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთ დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები თავად ან ზიანთან ერთად აღემატება დადგენილი ფრანშიზის ოდენობას.

10. პასუხისმგებლობის აღიარება

მოკვლევაზე, დაცვაზე და ზიანის შემცირებაზე ხარჯების გაღებაზე დამზღვევისათვის მზღვეველის მიერ წერილობითი თანხმობა ან თვით მზღვეველის მიერ ასეთი ხარჯების გაღება არ ნიშნავს, რომ მზღვეველი აღიარებს დაზღვეული პასუხისმგებლობის დადგომას.

11. დარეგულირების უფლება

თუ მზღვეველის აზრით წინამდებარე დაზღვევით დაფარული ზარალი შესაძლოა დარეგულირდეს ან მოხდეს მასზე კომპრომისი, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვეულისაგან ზიანის დარეგულირება ან კომპრომისის მიღწევა. თუ დამზღვევი ობიექტური მიზეზების გარეშე ამაზე უარს აცხადებს, მაშინ მზღვეველი ასრულებს თავის ვალდებულებას დაზღვეულისათვის ანაზღაურების იმ ოდენობის გადახდით, რაც საკმარისი იქნებოდა ასეთი ზიანის დარეგულირებისათვის ან კომპრომისის მიღწევისათვის (რაც უფრო ხელსაყრელია მზღვეველისათვის კონკრეტულ მომენტში) შესაბამისი ფრანშიზის გამოკლებით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ზარალის დარეგულირება შესაძლოა მოხდეს დადგენილი ფრანშიზის ფარგლებში, მაშინ მზღვეველი ასრულებს თავის ვალდებულებას დაზღვეულისათვის წერილობითი შეტყობინების გზით, სადაც აღნიშნულია, რომ ზარალის დარეგულირება შესაძლებელია დადგენილი ფრანშიზის ფარგლებში და რომ მზღვეველმა შესაბამისად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები.

12. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევის პირობების თანახმად მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის მიმართ დამდგარი პასუხისმგებლობისაგან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ან გამოწვეული შემდეგი შემთხვევებით:

12.1 გამოყენებით, მართვით, მფლობელობით ან იჯარით აღებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, ტრაილერებზე, დამონტაჟებულ პანელებზე ან მსგავს ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებზე დამდგარი შემთხვევებით, რომლებიც რეგულირდება ადგილობრივი ან ეროვნული მმართველობის ან

საერთაშორისო ორგანოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო აქტებით ან დირექტივებით (ლიცენზირების ჩათვლით);

12.2 დამქირავებლის ან დირექტორის მომსახურეობის ხელშეკრულებით (ან სხვა მსგავსი), დადგენილი კანონმდებლობით დაკავშირებული დამქირავებლის პასუხისმგებლობასთან ან მუშახელის კომპენსაციასთან, შრომისუუნარობით ან უმუშევრობის შედეგებით, სამუშაო ვალდებულებების შესრულებით;

12.3 რადიაციით ან დაბინძურებით, რადიოაქტიური საწვავით, რადიოაქტიური მტვრით ან რადიოაქტიური საწვავის ან მსგავსი ნივთიერებების აფეთქებით;

12.4 რადიოაქტიური ტოქსიკური ასაფეთქებლებით, სხვა საშიში ასაფეთქებელი ნივთიერებებით, ან ბირთვული კომპონენტების შემცველი ან სხვა მსგავსი ნივთიერებებით;

12.5 დაბინძურებით, გადმოდინების, გამოპარვის, ბოლის გამოჟონვის, აორთქლების, საწვავების, ტოქსიკური ნივთიერებების და სხვა მსგავსი ნივთიერებების ჩათვლით, ასევე ნავთობის ნარჩენების ან ნავთობგარეული ნაგავის ან სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების რომელიც მიწაზე ან მიწის შიგნით არის, ატმოსფეროს, ქონების, პირების, ცხოველების ან სხვა ცოცხალი არსებების, წყლის ნაკადების ან მარილიანი წყლის გუბეების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:

12.5.1 დაბინძურება გამოწვეულია უეცრად და მოულოდნელად და არ მომხდარა არანაირი ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის ან დირექტივების დარღვევის შედეგად;

12.5.2 დაბინძურებას ადგილი ჰქონდა წინამდებარე დაზღვევის მოქმედების პერიოდში და გამოვლინდა მოხდენიდან არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში;

12.5.3 დაბინძურების ზიანის დადგომის შესახებ მზღვეველს მიეწოდება ინფორმაცია ფაქტის შემჩნევიდან 7 დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა ეს პროცესი გრძელდება თუ არა;

12.5.4 ნებისმიერ შემთხვევაში მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი არ გადააჭარბებს 1 000 000 აშშ დოლარს თითოეული შემთხვევისათვის და ჯამურად;

12.6 ომით (მიუხედავად იმისა ოფიციალურად გამოცხადებულია თუ არა), მტრული მოქმედებების, სამხედრო ან უზურპირებული ძალით, გარეშე მტრების მოქმედებით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ტერორისტული აქტებით, (ან ნებისმიერი პირის პოლიტიკური ან რელიგიური მოტივით ქმედებით), ასაფეთქებელი საშუალებებით, ტორპედოებით, ბომბებით, ნებისმიერი სახის საომარი იარაღებით,

12.7 სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აჯანყება, ლოკაუტი, სამუშაო არეულობა და მუშაობის შეჩერება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასეთი ქმედებები დაიწყო ტვირთის ხომალდზე ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის ოპერაციების დროს ან მხოლოდ ნავსადგურისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე;

12.8 პირატობით, დაპყრობით, დაკავებით, დაპატიმრებით, ან ასეთი შემთხვევებიდან გამოწვეული შედეგობრივი ზიანი;

12.9 ადგილობრივი სახალხო ან სახელმწიფო ორგანოს ან საბაჟო მმართველობის განკარგულებით კონფისკაცია, დაპყრობა, დაპატიმრება, ჩამორთმევა, ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია, დაკავება, განადგურება;

12.10 დისკრედიტაციით, სახელის გატეხვით, განზრახ გავრცელებული ცრუ ინფორმაციით;

12.11 დამზღვევის, მისი თანამშრომლების ან აგენტების გაყალბებით, კრიმინალური ან უკანონო ქმედებით;

12.12 დამზღვევის, მისი თანამშრომლების ან აგენტების განზრახვით

12.13 ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლების დარღვევით ან შეცდომით დაპატიმრებით;

12.14 სექსუალური ან რასობრივი დისკრიმინაცია ან/და სხვა დისკრიმინაციული ქმედებებით;

12.15 დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის გაკოტრებით, (მიუხედავად იმისა ოფიციალურად დადასტურებული თუ არა, მაგრამ სავალდებულო პირობას წარმოადგენს დამზღვევის მიმართ სასამართლოში შეტანილი განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ). „გაკოტრება“ გულისხმობს დამზღვევის მიერ ვალის დაფარვის შეუძლებლობას იმ დროისათვის როდესაც მას ეს ვალდებულება დაეკისრება;

12.16 დამზღვევის პასუხისმგებლობა, დაკავშირებული მესამე პირის ან იმ პირის მიერ ვისთანაც დამზღვევი თანამშრომლობს დამზღვევის საკუთრებაში მყოფი, ლიზინგით, იჯარით, ქირით ან პირობით აღებული ქონების დაკავებით ან ამ ქონებაზე უფლების დაკავებით (მიუხედავად იმისა კანონიერია ეს დაკავება თუ არა);

12.17 წინამდებარე პირობების 9.2 პუნქტის გათვალისწინებით, დამზღვევის პასუხისმგებლობა, დაკავშირებული იმ პირთან ვისთანაც დამზღვევს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა ან სხვა მესამე პირის მიერ დამზღვევსაგან თანხის მიუღებლობით, ან ვალების დაფარვის შეუძლებლობით;

12.18 დამზღვევის პასუხისმგებლობა, დაკავშირებული მესამე პირებისათვის ზედმეტად ანაზღაურებული ან კომპრომისული ხარჯებით;

12.19 გარდაცვალებით, სხეულის ან გონებრივი დაზიანებით, მაშინაც კი როდესაც ამდაგვარი დაზიანებები გამოწვეულია ინგალაციით, სხვადასხვა ნივთიერებების შესუნთქვით, ასებესტოების, თუთუნის ან თუთუნის ნივთიერებების შემცველი პროდუქტების, ნახშირის ან ნახშირის მტკრის შეწოვით ან/და პერიოდული დაძაბულობით ან სტრესით (ფიზიკური ან გონებრივი)

12.20 ზემოთხსენებული 12.19 პუნქტის გამონაკლისის გათვალისწინებით გარდაცვალება, სხეულის ან გონებრივი დაზიანება ან ავადმყოფობა დაკავშირებული ნებისმიერ სხვა შემთხვევებთან გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს უკანასკნელი იფარება მესამე პირების პასუხისმგებლობის გაფართოებით;

12.21 დამზღვევის მიერ იჯარით, ლიზინგით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით გაცემული ნებისმიერი სახის ქონებით, მათ შორის კონტეინერებით და სატრანსპორტო მოწყობილობებით, თუ ეს მზღვეველთან წერილობით არ არის წინასწარ შეთანხმებული;

12.22 მესამე პირების პასუხისმგებლობით გამოწვეული საოფისე შენობების ან ნაგებობების იჯარით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით ;

12.23 მფრინავი საშუალებების ან ხომალდის ჩარტერით (დროებითი ჩარტერი), გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს უკანასკნელი სპეციალურად არ არის დაფარული ჩარტერის/დროებითი ჩარტერის ხელშეკრულებით;

12.24 დამზღვევის ნებისმიერი საქმიანობით, რომელიც მხარეთა შორის გენერალური დაზღვევის ხელშეკრულების დადების და წინამდებარე პირობების გაფორმების მომენტისათვის არ ხორციელდება დამზღვევის მიერ და მზღვეველთან არ არის წერილობით წინასწარ შეთანხმებული დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე ან დაზღვევის მოქმედების პერიოდში;

12.25 შესაბამისი დაზღვევის პოლისით განსაზღვრული დაზღვევის ტერიტორიის გარეთ დამზღვევის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახის ქმედებით ან ამის შედეგად დამდგარი ზიანი;

12.26 კანონის, საკანონმდებლო აქტის, წესების, რეგლამენტის ან დირექტივების დარღვევის შედეგად გამოწვეული ჯარიმებით, საბაჟო ან მმართველი ორგანოების მიერ დაწესებული ჯარიმების ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვევით იფარება შეცდომები და გამოტოვებების გაფართოებები;

13. გაჟონვისა და დაბინძურების გამორიცხვა

13.1 აღნიშნული კონტრაქტი გამორიცხავს პრეტენზიებს იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც გაწეულია დამზღვევის მიერ გაჟონვის, დაბინძურების ან კონტამინაციის გამო:

13.1.1 მიწაზე ან შიდა წყლებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია უეცარი მოვლენის შედეგად ან/და დაზღვეულია უშუალოდ უეცარი და შემთხვევითი ხასიათის შემთხვევის დადგომის საფუძველზე;

13.1.2 გამოწვეული ნარჩენების განზრახ ან მიზანმიმართული განთავსებით ან გადაყრით.

13.2 წინამდებარე პუნქტით გამონაკლისად არ მოიაზრება მოთხოვნები დაკავშირებული:

13.2.1 ჭაბურღილის პოლისებთან, თუ ასეთი გაჟონვა, დაბინძურება ან კონტამინაცია მოხდა ჭაბურღილის ზედაპირზე ან წყალქვეშა ფსკერზე კონტროლიდან გამოსვლის შედეგად;

13.2.2 პასუხისმგებლობასთან:

13.2.2.1 პასუხისმგებლობა, რომელიც დაკისრებულია უშუალო დამზღვევს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მიმართულია საზღვაო გარემოს დაცვისკენ, იმ პირობით, რომ უშუალო დამზღვევი ვალდებული იყო კანონით ან კანონმდებლური ინსტრუმენტით ჰქონოდა ასეთი დაზღვევა;

13.2.2.2 პასუხისმგებლობა, მიღებული უშუალოდ დამზღვევის მიერ ნავთობით დაბინძურების პასუხისმგებლობის შეთანხმების (Offshore Pollution Liability Agreement, OPOL) ან მისი ეკვივალენტის შესაბამისად;

13.2.2.3 გაჟონვის, დაბინძურების ან კონტამინაციის გამო, რომელიც გამოწვეულია გემებით, მცურავი საშუალებებით ან მათი ტვირთებით.

გაუქმება და აღდგენის დაუშვებლობა

წინამდებარე დაზღვევა შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან ერთერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, მეორე მხარის მიერ შეწყვეტამდე 60 დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. მაგრამ თუ დაზღვევით იფარება გაფიცვების და საომარი მდგომარეობის რისკი შეტყობინების პერიოდი მცირდება გაუქმებამდე 7 დღით ადრე.

14. დაზღვევის ლიმიტები/ფრანშიზები

14.1 დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული ლიმიტი გამოიყენება მაშინაც კი როდესაც შემთხვევა დადგება ერთზე მეტი რისკის შედეგად და ასევე როდესაც მთლიანი რისკების ლიმიტი გადააჭარბებს დაზღვევის პოლისით დადგენილ ლიმიტს. ასეთ შემთხვევაში დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული ლიმიტი გადანაწილდება ცალკეულ რისკებისათვის გათვალისწინებული ლიმიტების პროპორციულად;

14.2 ერთზე მეტი რისკის შედეგად დამდგარ შემთხვევებზე ფრანშიზა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოიყენება თითოეული რისკისათვის ცალკე;

15. ორმაგი დაზღვევა

თუ დამზღვევს წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული რისკები დაზღვეული აქვს სხვა სადაზღვევო პოლისით ან ზარალი დაზღვეული უნდა ყოფილიყო სხვა პოლისით მაგრამ დაზღვევა არ ამოქმედდა პირობის დარღვევის, ინფორმაციის არ გამხელის, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის, გაყალბების ან კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის გამო ან დამზღვევს არ ექნებოდა ეს ფაქტი გამხელილი მზღვეველთან, მაშინ აღნიშნული ზარალი ასევე არ ექვემდებარება დაფარვას წინამდებარე დაზღვევით. აღნიშნული პუნქტი ძალაშია იმ შემთხვევაშიც კი როდესაც დამზღვევს გააჩნია ასევე სხვა სადაზღვევო ინტერესი.

16. უფლებების გამოხატვა

მზღვეველი ასევე უფლებამოსილია დასაბუთებული (მიზეზების მითითებით) უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე წინამდებარე დაზღვევის პირობებით, დაზღვევის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

17. სუბკონტრაქტორები/ხელშეკრულების მხარეები

დამზღვევმა უნდა მიიღოს ყველანაირი უსაფრთხოების ზომები, რათა დარწმუნდეს, რომ ნებისმიერ მხარეს ვისთანაც ის თანამშრომლობს ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უნარი, გააჩნია საკმარისი ფინანსური საშუალებები დააკმაყოფილოს დამზღვევთან წარმოშობილი შესაძლო დავები წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან გასცეს შემცირებული ანაზღაურება თავისი შეხედულებისამებრ, დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტის დარღვევის გამო. ამ პუნქტის დარღვევად ჩაითვლება გარემოება, თუ მზღვეველი პირდაპირი მტკიცებულებებით დაამტკიცებს, რომ დამზღვევმა იცოდა რომ მხარეს, რომელთანაც ის თანამშრომლობდა არ ჰქონდა ვალდებულების შესრულების უნარი, არ გააჩნდა საკმარისი ფინანსური საშუალებები და მაინც დადო მასთან ხელშეკრულება.

18. სუბროგაცია (რეგრესი)

წინამდებარე დაზღვევის შესაბამისად ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება სუბროგაციის (რეგრესის) პრინციპის გათვალისწინება, ამავე დროს დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველანაირი ზომები, რათა ხელი შეუწყოს მზღვეველს სუბროგაციის უფლების განხორციელებაში (მიაწოდოს მზღვეველს ნებისმიერი სახის საჭირო დოკუმენტაცია რასაც ეს უკანაწეული მოითხოვს).

19. კეთილსინდისიერად შესრულება

19.1 დამზღვევი ვალდებულია დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე, მოქმედების პერიოდში და ასევე დასრულების შემდეგ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაზღვევასთან დაკავშირებული

ვალდებულებები. ზემოთხსენებულის დარღვევის შემთხვევაში მზღვეელი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დაზღვევის პირობების და დაზღვევის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების ფარგლებში.

19.2 თუ დამზღვევი წარადგენს გაყალბებულ ან არასწორ განაცხადს ზარალის შესახებ რომელიც მისთვისაც ცნობილი იყო, ან არ შეასრულებს კეთილსინდისიერების პირობას ზიანის დადგომისას, წინამდებარე დაზღვევა გაუქმდება მისი მოქმედების დაწყების მომენტიდან.

20. დავები

მხარეთა შორის წარმოშობილი დავები წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21. სანქციის პირობა

მზღვეელი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოფის სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეელის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ან შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეელზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

გაფართოებები

შეცდომები და გამოტოვებები

წინამდებარე პირობები და დაზღვევის პოლისი შესაბამისი დათქმების, ლიმიტების და გამონაკლისების გათვალისწინებით ფარავს დამზღვევის იურიდიულ ან/და საკონტრაქტო პასუხისმგებლობით დამდგარ დაუდევრობას, შეცდომებს და გამოტოვებებს, გამოწვეული შესაბამისი დაზღვევის პოლისით განსაზღვრული დაზღვეული საქმიანობებიდან.

1. ზოგადი პირობები

პასუხისმგებლობა დამზღვევის, მისი თანამშრომლების და აგენტების დაუდევრობაზე, შეცდომებზე და გამოტოვებებზე, გამოწვეული თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ლეგიტიმური ბიზნესის განხორციელებისას შემდეგი შემთხვევების შედეგად:

დოკუმენტების მომზადება ან/და გაცემა

საკანცელარიო ან/და დოკუმენტური პროცედურები

გ) ინსტრუქციების მოუმზადებლობა ან/და დაუმორჩილებლობა

დ) რჩევის ან ინფორმაციის მიწოდება

ე) ტვირთის დაგვიანებით, შეცდომით ან საერთოდ არ მიწოდება

ვ) ტვირთის აღწერა ან დეკლარირება

2. განსაკუთრებული პირობები

ზემოთხსენებულ პუნქტი 1 – ით გათვალისწინებული რისკები იფარება შემდეგი პირობების საფუძველზე

2.1 საქმიანობის ან გადაზიდვის პირობები

წინამდებარე დაზღვევით დაიფარება დამზღვევის მიერ საქმიანობის ან გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი დაადასტურებს, რომ:

ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული აქვს ზემოთხსენებული პირობების გათვალისწინება და

კონკრეტულ შემთხვევაში პირობების არ შესრულება გამოწვეული იყო დამზღვევის, მისი თანამშრომლების ან აგენტების იზოლირებული დაუდევრობით, შეცდომით ან გამოტოვებით.

2.2 კონოსამენტი

კონოსამენტი ან მსგავსი გადაზიდვის ხელშეკრულებაში არსებული ცდომილებით ან არასწორი ინფორმაციით დამდგარი პასუხისმგებლობა ექვემდებარება სადაზღვევო დაფარვას გამოწვეული შემდეგი შემთხვევების შედეგად:

- ა) კონოსამენტის ან მსგავსი გადაზიდვის ხელშეკრულების არასწორი დათარიღებით;
- ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარშრუტის უკანონო ან უმიზეზო ცდომილებით;
- გ) გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ დასაწყობება;
- ე) არასწორი ინფორმაციით როგორც შეიძლება იყოს:
 - ჩატვირთვის პორტი
 - გადმოტვირთვის პორტი
 - მარშრუტი
 - გადამზიდავი ხომალდი
 - ტვირთის წონის, რაოდენობის და ხარისხის აღწერა
 - გადაზიდვისათვის მიღების ან ბორტზე გადმოტვირთვის თარიღი
- ვ) ტვირთის მიწოდება ორიგინალი კონოსამენტის ან მსგავსი დოკუმენტის წარდგენის გარეშე (როდესაც დროულად არის გაცემული), ან ტვირთის არაუფლებამოსილ ან უცხო პირზე ჩაბარებით.

2.3 საბაჟო ინფორმაცია

წინამდებარე დაზღვევით იფარება პასუხისმგებლობა გამოწვეული ინფორმაციის ან დოკუმენტაციის მიწოდებით საბაჟო ან სხვა მსგავსი სახელმწიფო ორგანოებისათვის ან გამოწვეული ვალდებულებებით ან საბაჟო გარანტიის წარმოდგენით, ან ცალკე ადმინისტრაციული დოკუმენტის (შAD) ან სავაჭრო ტრანზიტის დოკუმენტის (ჩთ) ან სხვა სახის ობლიგაციის ან გარანტიის გაცემით დამზღვევისათვის ან დამზღვევის მიერ ტრანსპორტირების განხორციელებისათვის, იმ პირობით თუ მზღვეველს დროულად ეცნობა ამდაგვარი ობლიგაციის, გარანტიის ან დოკუმენტის თაობაზე და დაზღვევის პოლისის დართული აქვს შესამაბისი დათქმა.

2.4 ტვირთის დაზღვევა: გამოიყენება მხოლოდ საფრახტო მომსახურების ინდუსტრიის რისკებისათვის წინამდებარე დაზღვევით იფარება პასუხისმგებლობა მომხმარებლისთვის ტვირთის დაზღვევის განხორციელების თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ დამზღვევს დაზღვეული აქვს ტვირთები ღია პოლისის საფუძველზე ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების შესაბამისად ან მსგავსი პირობების შესაბამისად და მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც დამზღვევის როგორც მომხმარებლის აგენტის მიერ ხდება ტრანსპორტირების განხორციელება.

საწყობის მართვის გაფართოება

ადგილმდებარეობა:

წინამდებარე დაზღვევით მზღვეველთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დაიფარება დამზღვევის იურიდიული პასუხისმგებლობა გამოწვეული:

- ა) დამზღვევზე ან პირზე, ვისთანაც დამზღვევს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სასაწყობო მომსახურების გაწევაზე, მინდობილ ტვირთზე დამდგარი ზიანით ან დანაკარგით
- ბ) ზემოთხსენებული (ა) პუნქტით დაზღვეული ტვირთის დაზიანების ან დაკარგვის შედეგად დამდგარი შედეგობრივი ზიანით ან საქმიანობის შეჩერებით.
- გ) ტვირთის დაგვიანებით მიწოდებით;

დ) ზემოთხსენებული (ა) პუნქტით დაზღვეული ტვირთის დაზიანების ან დაკარგვის შედეგად გადასახდელი საბაჟო გადასახადით გარდა ობლიგაციით ან გარანტიით გადასახდელისა;

მზღვეველის პასუხისმგებლობა ზემოთხსენებული (დ) პუნქტით გამოწვეულ ზიანზე არ გადააჭარბებს დაზღვევის მოქმედების პერიოდში 100 000 აშშ დოლარს თითოეულ შემთხვევაზე და წლიური ჯამურად.

1.1 განსაკუთრებული პირობები – სიგნალიზაცია/დაცვა

წინამდებარე დაზღვევის წინაპირობაა რომ ნებისმიერი საწყობი აღჭურვილი უნდა იყოს:

1.1.1. სახანძრო და ქურდობის საწინააღმდეგო სიგნალიზაციით, რომელიც ჩართული უნდა იყოს ნებისმიერ დროს, მაშინაც კი როდესაც საწყობი ცარიელია, და დაცული უნდა იყოს მწარმოებლის რეკომენდაციები;

1.1.2. როდესაც საწყობი ცარიელია, იყოს ჩაკეტილი და ყველა შეღწევადი წერტილები დახურული;

1.2 განსაკუთრებული პირობები - ადგილმდებარეობა

მზღვეველი პასუხისმგებელია ტვირთის დაზიანების შედეგად დამდგარ ზიანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ტვირთი ინახება საწყობში დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ ადგილას. არეულად, მანქანაზე ან ტრაილერზე შენახული ტვირთი მიუხედავად იმისა საწყობშია თუ არა არ ექვემდებარება დაზღვევას.

1.3 საქმიანობის პირობები

წინამდებარე დაზღვევის წინაპირობაა, რომ დაზღვევის მოქმედების პერიოდში მზღვეველისათვის ცნობილი უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობა და ოპერაციები, რომელსაც ახორციელებს დამზღვევი.

1.4 ცვლილებები საქმიანობის პირობებში

დამზღვევის საქმიანობის პირობების ცვლილებების (საქმიანობის სახეობის დამატება, გაფართოება) შედეგად, თუ მზღვეველი დადგება მაღალი რისკის ქვეშ, რომელიც არ დადგებოდა რომ არა ზემოთხსენებული ცვლილებები, მზღვეველის პასუხისმგებლობა შემცირდება ზოგად საქმიანობის პირობებში შეტანილი ცვლილებების მომენტამდე არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

1.5 საქონლის აღწერისას გამოვლენილი ზარალი

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი იმ ტვირთზე რომლის დანაკლისზეც არ არსებობს სათანადო ახსნა და სადაც არ იკვეთება დამზღვევის ბრალეულობა.

პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე

1. დაფარვა ვრცელდება

წინამდებარე დაზღვევით ანაზღაურდება დამზღვევის პასუხისმგებლობა დამდგარი დაზღვეული საქმიანობის შედეგად მესამე პირების მიმართ შემდეგი რისკების შედეგად:

1.1. ქონების ფიზიკური ზიანი ან განადგურება;

1.2. გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან ავადმყოფობა;

1.3. ზემოთხსენებული პუნქტები 1.1 და 1.2 ის შედეგად დამდგარი იურიდიულად ასანაზღაურებელი შედეგობრივი ზიანი.

2. გამონაკლისები

2.1 პასუხისმგებლობა დამდგარი საქმიანობიდან, თუ ეს საქმიანობა არ არის დაზღვეული წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული რისკებისაგან;

2.2 თუ დადგება დამზღვევის პასუხისმგებლობა კონტეინერებში ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებში მყოფი ტვირთებისათვის იმ დროს, როდესაც ასეთი რისკი დაზღვეულია საკონტეინერო/მოწყობილობების ოპერატორების რისკების ნაწილში, მაშინ ასეთი ზარალის დარეგულირება მოხდება ამ უკანასკნელი

დაზღვევის ნაწილში მითითებული პირობების გათვალისწინებით და არა წინამდებარე პასუხისმგებლობის დაზღვევის გაფართოებით.

წინამდებარე დაზღვევის პირობები შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენაზე, წარმოადგენს გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სხვადასხვა ენებზე შესრულებულ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ვარიანტს.

მზღვეველი:

დამზღვევეი: